ომის თეოლოგიის ევოლუცია ადრინდელ ქრისტიანობაში (I-IV სს.)

საბა სუთიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

საბა სუთიძე

23.01.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქრისტიანის ომში მონაწილეობის ეთიკურობის შესახებ შეხედულებების (ქრისტიანული ომის თეოლოგიის) ევოლუცია I-IV საუკუნეებში. შესწავლილია, თუ რა პასუხს იძლევა იესო (ოთხი კანონიკური სახარების მიხედვით) და ახალი აღთქმის კორპუსის არასახარებისეული ტექსტები ქრისტიანის ომში მონაწილეობის ეთიკურობის შესახებ. აგრეთვე გამოკვლეულია II-IV საუკუნეების ქრისტიანი მოღვაწეების შეხედულებები ამავე საკითხზე. ნაშრომის ბოლოს კი გაანალიზებულია ის გარემოებები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ქრისტიანული ომის თეოლოგიის განვითარებაზე I-IV საუკუნეებში.

სახარებების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ქრისტიანის ომში მონაწილეობა შეუთავსებელია იესოს მოძღვრებასთან, მიუხედავად იმისა, რომ იესოს უშუალოდ ამ საკითხზე არაფერი უთქვამს. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს ახალი აღთქმის სხვა წიგნების ანალიზიდანაც, რომლებიც ქრისტიანის სამაგალითო ცხოვრების წესის შესახებ მოციქულების შეგონებებსა და დევნილი ქრისტიანების მორჩილებისა და ამ დევნის გამო მათი სიხარულის შესახებ მოგვითხრობენ. მხოლოდ „იოანეს გამოცხადებაში“ იგრძნობა რევანშისტული სული, მაგრამ იგი არ მოუწოდებს ქრისტიანებს ომში მონაწილეობისაკენ.

II-III საუკუნეების ქრისტიანი აპოლოგეტები ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანის ომში მონაწილეობა ყოვლადდაუშვებელია, ვინაიდან იგი ქრისტეს მოძღვრებას ეწინააღმდეგება.

ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები IV საუკუნის ქრისტიანი საეკლესიო მოღვაწეებისა ცხადყოფს, რომ, ერთ შემთხვევაში, განდიდებულია ქრისტიანი იმპერატორის სამხედრო საქმიანობა, როგორც ღვთის მიერ მოწონებული და ხელშეწყობილი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ომში ადამიანის მოკვლა

ქრისტიანისათვის მძიმე მორალურ ტვირთად მიიჩნევა, თუმცა, არაა ნათქვმი, რომ ქრისტიანი არ უნდა მონაწილეობდეს ომში.

ნაშრომის ბოლო თავში შემოთავაზებული ანალიზით, დადგინდა, რომ ქრისტიანულ ომის თეოლოგიაში IV საუკუნეში მომხდარი ცვლილებების მთავრი მიზეზი ეკლესიის პოლიტიკური სტატუსის ცვლილება, მისი სახელმწიფოსთან შერწყმა იყო.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ომი, თეოლოგია, ევოლუცია, ქრისტიანობა, ადრინდელი, სახარება.

Abstract

This study deals with the evolution of the views on compatibility of Christians' participation in war with Christian ethics (Christian war theology) in the I-IV centuries. This paper analyzes the answers of Jesus (according to the Four Canonical Gospels) and non-Evangelical body of the New Testament about the ethical rightfulness of Christians' participation in war. This study also takes closer look at the II-IV centuries Christian churchmen's approaches to the question mentioned above. The last part of the study examines the circumstances, which influenced the development of Christian War Theology in the I-IV centuries.

According to the study of the Gospels, it is obvious that Christians' participation in war is incompatible with the teachings of Jesus Christ, in spite of the fact that Jesus himself does not mention anything about this particular issue. The same point can be inferred from analyzing of the other books of New Testament, which inform us about the suggestions of the Disciples of Christ on good practice, which Christians should follow, and the obedience of persecuted Christians and their joy due to this persecution. The desire of revenge can be observed only in the "Revelation to John" but it does not call Christians to engage in any kind of war.

Christian apologists in the II-III centuries had been asserting that Christians' participation in war is totally prohibited because it is against the doctrine of Christ.

Assertions of fourth century Christian church-men make it obvious that, in one case, military activities of Christian emperor are glorified as endorsed and assisted by God and, in another case, murder during a war is considered as morally problematic subject for Christians but no word is said about Christians' duty to restrain from waging war.

The analysis presented in the last chapter of the study shows that the main reason of the changes happened to Christian War Theology in the fourth century was transformation of the political status of the Church and it's unification with the state.

Key Words: War, Theology, Evolution, Christianity, Early, Gospel.